

ევროკავშირის ქვეყნებში გამგზავრების მსურვედთათვის საგარეო უწყება განცხადებას ავრცელებს

☒ საგარეო საქმეთა სამინისტრო მოქარაქეებს მოუწოდებს, ევროკავშირის ქვეყნებში გამგზავრებამდე ყველა საჭირო დოკუმენტი მოაწესრიგონ. შესაბამისი განცხადება საგარეო უწყებამ გაავრცედა. სამინისტროს განცხადებით, ევროკავშირის/შენგენის წევრმა სახერმწიფოებმა გაამკაცრეს სასაზღვრო კონტროლი, რის შედეგადაც, საქართველოს არაერთ მოქარაქეს ეთქვა უარი ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე შესვლაზე. ამის მიზეზი კი ის არის, რომ მოქარაქეები არ აკმაყოფილებდნენ ევროკავშირის/შენგენის სახერმწიფოებთან უვიზო რეჟიმით განსაზღვრულ პირობებს და არ ფლობდნენ შესაბამის საბუთებს.

„ვიდეგ ერთხერ შევახსენებთ ევროკავშირის/შენგენის წევრ სახერმწიფოებში წასვრის მსურვერებს, გამგზავრებამდე მოაწესრიგოთ უკრებრივ ყველა დოკუმენტი, რომერიც აუცირებერია ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნების საზღვრის გადაკვეთისთვის. ამასთან გაითვარისწინეთ, რომ ევროკავშირის/შენგენის წევრ სახერმწიფოებში საქართველოს საერიჩოებს არ გააჩნიათ არანაირი სამართლებრივი ბერკეტი, რომ მესაზღვრის მიერ კანონიერად მოთხოვნირი დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში, ჩაერიოს მის კომპეტენციაში და შეცვაროს მის მიერ მიღებური გადაწყვეტირება ამა თუ იმ მოქარაქის ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე შემოშვების მიზნით“, – წერია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

უწყება კიდეგ ერთხერ განმარტავს, რა საბუთებია საჭირო უვიზოდ მგზავრობისთვის: „უკანასკნერი 10 წრის განმავრობაში გაცემური საქართველოს მოქარაქის ბიომეტრიური პასპორტი, რომერსაც უნდა ჰქონდეს მინიმუმ 3 თვის მოქმედების ვადა ევროკავშირის/შენგენის ქვეყნის ტერიტორიიდან გასვრის დაგეგმირი დღისთვის. მგზავრობის

მიზნის დასადასტურებლად, სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენელს უფლება აქვს მოგთხოვოთ შემდეგი საბუთები: დასაბრუნებელი სამგზავრო ბილეთი; სასტუმროს მოქმედი ჯავშანი; სამოგზაურო დაზღვევა; მოგზაურობის ფინანსური უზრუნველყოფის დადასტურება: მაგარიტად, თქვენს მფლობელობაში არსებული ნაღდი ფული, მოქმედი საბანკო ელექტრონული ბარათი, დაფინანსების შესახებ ცნობა, მასპინძლის საგარანტიო წერილი. ფინანსური უზრუნველყოფისთვის საჭირო თანხა ევროკავშირის/შენგენის წევრი თითოეული ქვეყნის შიდაკანონმდებლობით განისაზღვრება. სასტუმროს ხარჯის გარდა, ეს თანხა, როგორც წესი, არ აღემატება დღეში 50 ევროს“.

საგარეო საქმეთა სამინისტრო კონფერენციებში, სემინარებში, საქმიან შეხვედრებში მონაწიდეებს შეახსენებს, ზემოთჩამოთვლილ საბუთებთან ერთად იქონიონ: „ღონისძიების/კონფერენციის, სემინარის მოწვევა/პროგრამა, რომელშიც მონაწიდეობთ; ნათესავების, მეგობრების ან ახლობლების მონახულების მიზნით მგზავრობის შემთხვევაში ზემოთჩამოთვლილ დოკუმენტებთან ერთად რეკომენდებულია თან იქონიოთ: ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე რეგულარულ მცხოვრები მასპინძლის საკონტაქტო მონაცემები (მისამართი, ტელეფონის ნომერი და სხვ.); მოწვევის წერილი მასპინძლის ბინადრობის ნებართვის ან შესაბამის ქვეყანაში რეგულარულ ყოფნის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ასლი.

სამედიცინო სერვისებით სარგებლობის, მოკრევადიანი სამკურნალო კურსის/ოპერაციის მიზნით მგზავრობის შემთხვევაში ზემოთჩამოთვლილ საბუთებთან ერთად სასურველია თან იქონიოთ: იმ სამედიცინო დაწესებულების თანხმობა, რომელშიც გეგმავთ მკურნალობას ან/და საქართველოს სამედიცინო დაწესებულების რეკომენდაცია, ჩაიტაროთ შესაბამისი მკურნალობა ევროკავშირის წევრ-ქვეყანაში; სამედიცინო დაზღვევა მგზავრობის მთელი პერიოდისთვის; მგზავრობისა და მკურნალობის ფინანსური უზრუნველყოფის დადასტურება ნაღდი ფულით, მოქმედი ელექტრონული ბარათით ან გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტით“.

ევროკავშირთან უვიზო მომოსვლა 2017 წლის 28 მარტს ამოქმედდა.